

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2010 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (თსუ მეცნ) 2010 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სფეროში ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის მიმართულებით. ექსპერიმენტული კვლევები ინსტიტუტში სრულდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ისეთ სამეცნიერო ცენტრებთან კავშირში, როგორიცაა ბირთვული კვლევების ეგროპული ცენტრი (უენევა, CERN, <http://atlas.ch>), გერმანიის ქ. იულიხის კვლევათა ცენტრი (Forschungszentrum-Jülich, <http://www.fz-juelich.de/ikp/anke/en/index.shtml?>) და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (<http://www.jinr.ru/>).

ინსტიტუტში ექსპერიმენტული სამუშაოები მიმდინარეობს სამი მიმართულებით:

1. სპინის ფიზიკა - ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, პროფ. მიხეილ ნიორაძე (საერთაშორისო კოლაბორაცია ANKE, Forschungszentrum-Jülich),
2. ტოპ კვარკის ფიზიკა - ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი თამარ ჯობავა (საერთაშორისო კოლაბორაცია ATLAS, CERN, უენევა),
3. რელატივისტური იონების ფიზიკა - ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, პროფ. იური თევზაძე (დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ექსპერიმენტები, დუბნა, რუსეთი).

თეორიული ფიზიკის მიმართულებით სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს შემდეგ სფეროებში:

1. ადრონთა კვარკული სტრუქტურა (ხელმძ. აკად. თეიმურაზ კოპალეიშვილი),
2. სპინის ფიზიკა (თეორია) (ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, პროფ. ანზორ ხელაშვილი),
3. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენები (ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი გელა დევიძე).

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით:

1. GRID ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი გამოყენება მაღალი ენერგიების ფიზიკაში (ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. კანდიდატი ბადრი ჭილაძე)
2. ბირთვულ ენერგეტიკის უსაფრთხოების კვლევა (ხელმძ. ფიზ.-მათ. მეც. კანდიდატი ბადრი ჭილაძე)

ინსტიტუტის 2010 წლის სამეცნიერო აქტივობის მახასიათებელი ცხრილი

გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომების რაოდენობა	12/9	იხ. დანართი 1
გამოქვეყნებული/მომზადებული სახელმძღვანელოების რაოდენობა	2	იხ. დანართი 2

სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებების რაოდენობა	4	იხ. დანართი 2
საგრანტო პროექტები	8	იხ. დანართი 3
2010 წელს დაცული დისერტაციების რაოდენობა	1	იხ. დანართი 3
2010 წელს დაცული სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომების რაოდენობა	2	იხ. დანართი 3
პრემიები	2	იხ. დანართი 3

სასწავლო პროცესში მონაწილეობა

2007 წლიდან მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებს ორი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია:

1. ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია (ლაბორატორიის გამგე ი.ოვეზაძე, უფროსი ინჟინერი ი.გრეკოვი)
2. ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის (მოდელირების) ლაბორატორია (ლაბორატორიის გამგე მ.ტაბიძე, უფროსი ინჟინერი ნ.მოსულიშვილი)

ინსტიტუტის ბაზაზე სრულდება სადოქტორო პროგრამა
“სპინის ფიზიკა” (ხელმძ. პროფ. მ.ნიორაძე)

2010 წელს ინსტიტუტის ბაზაზე მომზადებული იქნა ერთი სამაგისტრო და ერთი საბაკალავრო ნაშრომი.

ექსპერიმენტული კვლევები

მიმართულება 1 : საინის ფიზიკა (უმაღლესი უმცირესობის დანართი)


თემა: ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების სპინური სტრუქტურის განსაზღვრა

მონაწილეები: მიხეილ ნიორაძე, ანდრო კაჭარავა, გიორგი მაჭარაშვილი, მირიან ტაბიძე, ნოდარ ლომიძე, დავით ჭილაძე, დავით მჭედლიშვილი


2010 წლის განმავლობაში გრძელდებოდა აღნიშნული თემით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოები საერთაშორისო (გერმანია, ინგლისი, საქართველო, რუსეთი, პოლნეთი) კოლაბორაციის ANKE-ს ფარგლებში ქ. იულისის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის COSY ამაჩქარებელზე. კერძოდ, შეისწავლებოდა $\vec{p} \rightarrow \{pp\}n$ დეიტრონის გადამუხტვის რეაქციის იმპულსური მიახლოება იმ დაშვებით, რომ საბოლოო მდგომარეობის 2 პროცენტი იმყოფება სუფთა 1S_0 ($l=0$) მდგომარეობაში, რაც სამართლიანია დიპოლური მცირე აღგზნების ენერგიისა ($E_{pp} < 3$ მევ) და სამიზნის პროცენტიდან დეიტრონის ნეიტრონზე მცირე გადაცემული სამიმპულსის დროს.

ექსპერიმენტული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შეფასებული იქნა რეაქციის ტენსორული ანალიზური უნარები A_{xx}, A_{yy} 1.6, 1.8 და 2.27 გევ ენერგიებზე (იხ. ნახ. ქვემოთ):


$$T_d = 1.6 \text{ GeV}$$



$$T_d = 1.8 \text{ GeV}$$



$$T_d = 2.27 \text{ GeV}$$




მათი საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს $np \rightarrow pn$ გადამუხტვის რეაქციის, რომლის ამპლიტუდა გამოისახება 5 სკალარული ამპლიტუდის დახმარებით

$$f_{np} = \alpha + i\gamma(\vec{\sigma}_n + \vec{\sigma}_p)\vec{n} + \beta(\vec{\sigma}_n\vec{n})(\vec{\sigma}_p\vec{n}) + \delta(\vec{\sigma}_n\vec{m})(\vec{\sigma}_p\vec{m}) + \varepsilon(\vec{\sigma}_n\vec{l})(\vec{\sigma}_p\vec{l})$$

ზოგიერთი შესაკრებების ფარდობები (იხ. ნახ. ქვემოთ).

ლურჯი და წითელი ფერის მრუდებით ნაჩვენებია SAID-ის მონაცემთა ბაზის წინასწარმეტყველებანი 2.27 გევ და 1.2 გევ ენერგიებისათვის. როგორც ვხედავთ, მაღალ ენერგიაზე გვაქვს განსხვავება თეორიასა და ექსპერიმენტს შორის. ამ საკითხის დამატებითი კვლევა ამჟამადაც მიმდინარეობს.



$T_d = 2.27 \text{ GeV}$


$T_d = 1.2 \text{ GeV}$

$$\frac{|\beta|^2 + |\gamma|^2}{|\epsilon|^2} = \frac{1 - A_{yy}}{1 + A_{xx} + A_{yy}}$$

$$\frac{|\delta|^2}{|\epsilon|^2} = \frac{1 - A_{xx}}{1 + A_{xx} + A_{yy}}$$

$$\frac{|\delta|^2}{|\beta|^2 + |\gamma|^2} = \frac{1 - A_{xx}}{1 - A_{yy}}$$

პოლარიზაციული ნაკადისა და სამიზნის გამოყენების შემთხვევაში დიფერენციალური კვეთის, ანალიზური უნარები და და სპინური კორელაციების კოეფიციენტების გაზომვით შესაძლებელია როგორც ამპლიტუდების მოდულების, ასევე მათ შორის ფაზების განსაზღვრაც. ამ ეტაპზე მიღებული იქნა სპინური კორელაციების შეფასების მხოლოდ წინასწარი შედეგი (იხ. ნახ.):



- მიღებული შედეგები მოხსენებული იქნა სართაშორისო კონფერენციაზე “სპინ-2010”, რომელიც ჩატარდა გერმანიის ქალაქ იულიხში (დავით მჭედლიშვილი- Recent Results of the Analysing Power Measurement for the $d\bar{p} \rightarrow (pp)n$ Charge-Exchange Reaction at ANKE/COSY”, გედავით ჭილაძე- “np Program at ANKE-COSY and First Results from Double Polarised Experiment”).

გარდა ამისა:

- ჩატარდა ექსპერიმენტი COSY (Juelich, Germany) ამაჩქარებელზე, რომლის მიზანია პროტონ-პროტონული დრეკადი გაბნევის შესწავლა შოტკის მეთოდის გამოყენებით (თბილისის ჯგუფის წინადადება) და რომლის spokesperson არის დავით ჭილაძე (თსუ ყოფილი დოქტორანტი),
- გრძელდებოდა დეიტრონის გახლების რეაქციის (რომლის შესწავლა იგეგმება COSY ამაჩქარებელზე) მოდელირება და 2011 წლის მარტში იულიხის კვლევათა ცენტრის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის პროგრამულ მრჩეველთა საბჭოზე (COSY PAC) წარდგენილი იქნება დასკვნითი წინადადება ნაკადის გამოყოფის თაობაზე,
- დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2 სამეცნიერო პროექტის შესრულება:

“დიპროტონების დაბადებით მიმდინარე პადრონული პროცესების შესწავლა პოლარიზაციულ ექსპერიმენტებში COSY ამაჩქარებელზე”, №09 1024 4-200 (4/94)
სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ ნიორაძე
პროექტის მენეჯერი: მირიან ტაბიძე
ძირითადი შემსრულებლები: ანდრო კაჭარავა, გიორგი მაჭარაშვილი, ნოდარ ლომიძე, დავით ჭილაძე, დავით მჭედლიშვილი
დამხმარე პერსონალი: ნუგზარ მოსულიშვილი, მარიამ ჯანაშვილი

“ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების კვლევა”, №09 1041 4-200 (4/14)
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ჭილაძე
პროექტის მენეჯერი: ნოდარ ლომიძე
ძირითადი შემსრულებლები: მიხეილ ნიორაძე, მირიან ტაბიძე
დამხმარე პერსონალი: ალექსანდრე სიდელნიკოვი, იგორ ტრეკოვი

- წლის განმავლობაში შედგა 2 თვიანი (ჯამური) ვიზიტი IKP-ში DFG გრანტის ფარგლებში (მირიან ტაბიძე).

- მოპოვებული იქნა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) გრანტი (ნოდარ ლომიძე) და განხორციელდა 3 თვიანი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა სილიკონური კვალური დეტექტორიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის გაცნობასა და შესაძლო განვითარებას.
- დასრულებული იქნა ნეიტრონ-პროტონული დრეკადი გაბნევის დიფერენციალური კვეთის პარამეტრიზაციის ამოცანა (SAID მონაცემთა ბაზის ფარგლებში) და შედეგად ჩვენს მიერ შექმნილი შესაბამისი კლასი ჩადებული იქნა მოდელირების პროგრამა PLUTO-ში.

მიმართულება 2 : ტოპ კვარკის ფიზიკა

თემა: “ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაციის დიდი ადრონული ამაჩქარებლის ATLAS ექსპერიმენტში იშვიათი პროცესების შესწავლა სტანდარტული მოდელის ფარგლებში და მის მიღმა”.

თემის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჯობავა
მონაწილეები: ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ხუბუა, მაია მოსიძე, გვანცა მჭედლიძე

მიმდინარე წელს კვლევა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით:

1. ტოპ კვარკის არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით მიმდინარე იშვიათი დაშლების შესწავლა ATLAS ექსპერიმენტში.

მიღებული შედეგები:

I. შესწავლილ იქნა ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობა არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით (FCNC) მიმდინარე ტოპ კვარკის იშვიათი დაშლის $t \rightarrow Zq \rightarrow llq$ სადაც q წარმოადგენს u და c კვარკებს) მიმართ ტოპ-ანტიტოპ კვარკების (tt^*) წყვილურ დაბადებაში $\sqrt{s} = 10$ ტევი ენერგიისათვის გამოყენებულ იქნა რა ცენტრალურად დაგენერირებული (ანუ ATLAS კოლაბორაციის მიერ) შემთხვევები. კინემატიკური კრიტერიუმების თანმიმდევრობითი დადების მეორედი იქნა გამოყენებული დაშლის ფარდობითი ალბათობების 5σ სიზუსტით შესაფასებლად $L=1 \text{ fb}^{-1}$, $L=10 \text{ fb}^{-1}$ და $L=100 \text{ fb}^{-1}$ ნათებებისათვის.

შედეგები გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია დამზერილ იქნას დაშლის $t \rightarrow Zq \rightarrow llq$ დაშლა 5σ სიზუსტით ფარდობითი ალბათობით 1.14×10^{-2} , 3.59×10^{-3} , 1.14×10^{-3} $\sqrt{s} = 10$ ტევი ენერგიისათვის მასათა ცენტრის სისტემაში $m_{\text{top}} = 172.5 \text{ GeV}/c^2$ სოვის $L=1 \text{ fb}^{-1}$, $L=10 \text{ fb}^{-1}$ და $L=100 \text{ fb}^{-1}$ ინტეგრალური ნათებებისათვის, სათანადოდ. სხვადასხვა სისტემატური ცდომოლების შესწავლამ გვიჩვენა რომ, ტოპ კვარკის მასის მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეს თან ახლავს დაშლის ალბათობის 14 %-იანი ცვლილება.

II. ინტეგრალური ნათების სამი მნიშვნელობისათვის 0.1, 1 და 10 fb^{-1} შეფასდა ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობა $t \rightarrow Hq \rightarrow WW^*q$ ($q = c, u$ კვარკებია) ტოპ კვარკის FCNC იშვიათი დაშლის მიმართ, tt^* წყვილად დაბადების არხისათვის, როცა დაჯახების ენერგია მასათა ცენტრის სისტემაში $\sqrt{s} = 7 \text{ TeV}$ -ია.

შედეგები გვიჩვენებს, რომ ტოპ კვარკის FCNC იშვიათი დაშლის $t \rightarrow Hq \rightarrow WW^*q$ ($m_H = 150, 160 \text{ GeV}$) დეტექტორება $\sqrt{s} = 7 \text{ TeV}$ ენერგიის pp ურთიერთქმედებაში შეუძლებელია ინტეგრალური ნათების ($0.1, 1, 10 \text{ fb}^{-1}$) სამივე მნიშვნელობისათვის.

მიმღინარე წელს გამოქვეყნებული შრომები:

1)Studies of the performance of the ATLAS detector using cosmic-ray muons.

By The ATLAS Collaboration (G. Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua,
G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), Nov 2010. 22pp.

e-Print: [arXiv:1011.6665](https://arxiv.org/abs/1011.6665) [physics.ins-det]

2) Study of energy response and resolution of the ATLAS barrel calorimeter to hadrons of energies from 20-GeV to 350-GeV.

By ATLAS Collaboration (E. Abat.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), 2010. 17pp.

Published in **Nucl.Instrum.Meth.A621:134-150,2010**.

3) Measurement of pion and proton response and longitudinal shower profiles up to 20 nuclear interaction lengths with the ATLAS tile calorimeter.

P. Adragna...L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze,
I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.* 2010. 24pp.

Published in **Nucl.Instrum.Meth.A615:158-181,2010**.

4) Performance of the ATLAS Detector using First Collision Data.

By Atlas Collaboration (G Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), May 2010. 65pp.

Published in **JHEP (Journal of High Energy Physics) 1009:056,2010**.

e-Print: [arXiv:1005.5254](https://arxiv.org/abs/1005.5254) [hep-ex]

5) The ATLAS Inner Detector commissioning and calibration.

By ATLAS Collaboration (P. Ryan ...,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua,
G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), 2010. 34pp.

Published in **Eur.Phys.J.C70:787-821,2010**, e-Print: [arXiv:1004.5293](https://arxiv.org/abs/1004.5293) [physics.ins-det]

6) Charged-particle multiplicities in pp interactions at $\sqrt{s} = 900$ GeV measured with the ATLAS detector at the LHC.

By ATLAS Collaboration (G. Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), CERN-PH-EP-2010-004, Mar 2010. 40pp.

Published in **Phys.Lett.B688:21-42,2010**, e-Print: [arXiv:1003.3124](https://arxiv.org/abs/1003.3124) [hep-ex]

7) Drift Time Measurement in the ATLAS Liquid Argon Electromagnetic Calorimeter using Cosmic Muons.

By ATLAS Collaboration (G Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), 2010. 30pp.

Published in **Eur.Phys.J.C70:755-785,2010**, e-Print: [arXiv:1002.4189](https://arxiv.org/abs/1002.4189) [physics.ins-det]

8) Readiness of the ATLAS Liquid Argon Calorimeter for LHC Collisions.

By ATLAS Collaboration (G Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), 2010. 31pp.

Published in **Eur.Phys.J.C70:723-753,2010**, e-Print: [arXiv:0912.2642](https://arxiv.org/abs/0912.2642) [physics.ins-det]

9) Measurement of the top quark-pair production cross section with ATLAS in pp collisions at $\sqrt{s}=7$ TeV.

By ATLAS Collaboration (G Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G.
Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*), 2010. 31pp.

Submitted to Eur. Phys. J. C , e-Print: [arXiv:1012.1792v2](https://arxiv.org/abs/1012.1792v2) [hep-ex]

10) “Response and Shower Topology of 2 to 180 GeV Pions Measured with the ATLAS Barrel Calorimeter at the CERN Test-beam and Comparison to Monte Carlo Simulations.”

E.Abat,.., P.Ardanga,..G.Arabitze,.., Yu. Buragov,..T.Djobava,...,A. Henriques,..Y.
Kulchitsky,J.Khramov,...,J.Khubua,...I.Minashvili,...M.Mosidze,..L.Price,...R.Stanek,...
P.Tsiareshka „,et al

ATL-CAL-PUB-2010-001. - 2010. - 92 p.

11) "STUDY OF ATLAS SENSITIVITY TO FLAVOR CHANGING NEUTRAL CURRENTS (FCNC) TOP QUARK RARE DECAYS".

Leila Chikovani, Tamar Djobava, Maia Mosidze, Gvantsa Mchedlidze.

Book of Abstracts of 13th ISTC SAC Seminar "New Perspectives of High Energy Physics" 1-5 September, 2010, Budker INP, Novosibirsk, Russia, p.36

Book of abstracts: <http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/book.pdf>

12) A Layer Correlation technique for pion energy calibration at the 2004 ATLAS Combined Beam Test.

E. Abat., L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,.... *et al.*

ATL-COM-CAL-2010-006, Dec 2010. 36pp., e-Print: [arXiv:1012.4305](https://arxiv.org/abs/1012.4305) [physics.ins-det]

13) Measurement of underlying event characteristics using charged particles in pp collisions at $\sqrt{s} = 900 \text{ GeV}$ and 7 TeV with the ATLAS detector.

E. Abat., L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,.... *et al.*

Dec 2010. 36pp. e-Print: [arXiv:1012.0791](https://arxiv.org/abs/1012.0791) [hep-ex]

14) Observation of a Centrality-Dependent Dijet Asymmetry in Lead-Lead Collisions at $\sqrt{s(\text{NN})} = 2.76 \text{ TeV}$ with the ATLAS Detector at the LHC.

E. Abat., L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,.... *et al.*

Nov 2010. e-Print: [arXiv:1011.6182](https://arxiv.org/abs/1011.6182) [hep-ex]

მიმდინარე წელს გამოსაქვეყნებლად მომზადებული შრომები:

1.“ATLAS Experiment Sensitivity to FCNC Top Quark Rare Decay $t \rightarrow Zq$ at $\sqrt{s} = 10 \text{ TeV}$ ”.

Leila Chikovani, Tamar Djobava, Maia Mosidze, Gvantsa Mchedlidze is accepted for publication in the Bulletin of Georgian National Academy of Sciences “Moambe”.

2.” Study of Tile Calorimeter Sampling Fraction”.

T. Davidek, T.Djobava, A. Dotti, A.Henriques-Correia, E.Khramov, G. Mchedlidze, M.Mosidze, I.Vivareli

გრანტები (ბიუჯეტი, ზედნადები ხარჯები):

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ფონდი

1.ISTC G-1458 “The Search for and Study of a Rare Processes Within and Beyond Standard Model at ATLAS Experiment of Large Hadron Collider at CERN” 2007-2010

მთლიანი ბიუჯეტი: 305,724.45 USD, ზედნადები ხარჯები: 15,444.45 USD

წამყვანი ინსტიტუტი: თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ბიუჯეტი: 153,314.00 USD, ზედნადები ხარჯები: 8,322.00 USD

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

1. “ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობა ახალი ფიზიკის მიმართ”, № 185, 2008-2010

მთლიანი ბიუჯეტი: 150,000.00 ლარი, ზედნადები ხარჯები: 15,000.00 ლარი

მონაწილეობა კონფერენციებში:

მიღებული შედეგები სამეცნიერო მოხსენებების სახით წარდგენილ იქნა:

“STUDY OF ATLAS SENSITIVITY TO FLAVOR CHANGING NEUTRAL CURRENTS (FCNC) TOP QUARK RARE DECAYS”.

ლ.ჩიკოვანი, თ. ჯობავა, მ.მოსიძე და გ. მჭედლიძე

წარდგენილ იქნა როგორც მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიის ცენტრის (ISTC) მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმზე ““ მაღალი ენერგიების ფიზიკის ასალი პერსპექტივები” ” პოსტერების სექციაში, 1-5 სექტემბერი, 2010 წ, ნოვოსიბირსკის ბუდეების სახ. ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტები, ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია.

http://www.istc.ru/istc/istc.nsf/va_WebPages/SAC13.2Eng
<http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/programme.doc>

სამაგისტრო ნაშრომი: თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის “ნაწილაკების ფიზიკის” მე-2 კურსის მაგისტრანტი განცა მჭედლიდე
 “ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობის შესწავლა ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების მიმართ”.

მიმართულება 3 : რელატივისტური იონების ფიზიკა

თემა: “კოლექტიური გამოდინების ფინანსის ექსპერიმენტული შესწავლა ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში”

თემის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. იური თევზაძე

მონაწილეები: ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი ვახტანგ გარსევანიშვილი, ფიზ. მათ.

მეცნ. კანდიდატები ლიდა ჩხაიძე, ლალი ხარხელაური, ლიანა

აბესალაშვილი, თეიმურაზ ჯალაფანია, მეცნიერ-მკვლევარი ლალი ახობაძე

2010 წელს დაგეგმილი სამეცნიერო კვლევების თანახმად გახორციელდა ამოცანები:

ამოცანა 1 კოლექტიური ეფექტების შესწავლა d(C, Ta) და He(C, Ta) დაჯახებებში 3.4 გევ/ნუკლ ენერგიაზე (4.2 გევ/ც/ნუკლ იმპულსი) დაბადებული პროტონებისათვის კოლექტიური გამოდინების ეფექტების შესწავლა პ. დანიელევიჩისა და გ. ოდუნიეცის განივი იმპულსების მეთოდით.

ამოცანა 1.1 d(C, Ta) და He(C, Ta) დაჯახებებში 3.4 გევ/ნუკლონზე ენერგიის დროს დაბადებული პროტონებისათვის მიმართული განივი გამოდინების (მგბ) შესასწავლად რეაქციის სიბრტყის განსაზღვრა ორი მიდგომით: სამიზნე და დამცემი ბირთვების ფრაგმენტებით (სდბფ) და მონაწილე პროტონებით (მპ);

ამოცანა 1.2 d(C, Ta) და He(C, Ta) დაჯახებებში 3.4 გევ/ნუკლონზე ენერგიის დროს მონაწილე პროტონებისათვის ელიფსური გამოდინების (ეგ), ხოლო π^- - მეზონებისათვის მიმართული განივი გამოდინების შესწავლა (რეაქციის სიბრტყის განსაზღვრა მონაწილე პროტონებით (მპ));

ამოცანა 1.2 მიღებული ექსპერიმენტული შედეგების შედარება ულტრარელატივისტურ კანტურ მოლეკულურ-დინამიკურ (UrQMD) მოდელთან.

ამოცანა 2 შეისწავლება $A_i(p,d,He,C)A_t(C,Ta)$ ურთიერთქმედებისათვის ხისტ და რბილ დაჯახებებში დაბადებული მეორადი დამუხტული ადრონების მახასიათებლების დამოკიდებულება კუმულატიური ცვლადისაგან და კუმულატიური ჭავლების გამოყოფა.

ამოცანა 3. ადრონ-ბირთვულ და ბირთვ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში დაბადებული ადრონების მრავლობითობით განაწილებაში დამზერილი „განსაკუთრებულობის“ აღწერა კლასტერულ-კასკადური, გლუონური დომინანტობისა და გლუბერის მოდელებით (კპმ, გდმ და გმ).

რელატივისტური ტალღური ფუნქციების მასშტაბური თვისებების შესწავლა (d,He)(C,Ta) დაჯახებებში ($4.2\text{GeV}/c$) d,He⁴ და He⁴ ბირთვებისათვის.

გამოყენებულია მსოფლიო მონაცემები.

შესრულებული სამუშაო

ამოცანა 1

ესპერიმენტული მასალა მიღებულია ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (JINR) მაღალი ენერგიების ლაბორატორიაში ფილმურ დეტექტორზე (პროპანის ორმეტრიანი ბუშტოვანი კამერა – PBC-500). 3.4 გევ/ნუკლონზე ენერგიის დროს d-C, He-C, d-Ta და He-Ta დაჯახებებში დაბადებული პროტონებისათვის მიმართული განივი გამოდინებების შესაწავლად გამოყენებულ იქნა რეაქციის სიბრტყის განსაზღვრის თრი მეთოდი სამიზნე და დამცემი ბირთვების ფრაგმენტებით (სდბფ) და მონაწილე პროტონებით (მპ):

- არასიმეტრიულ სისტემებში (d-Ta და He-Ta) სდბფ-ით რეაქციის სიბრტყის აგებაში მონაწილეობას დებულობენ ბირთოდად სამიზნის ფრაგმენტები. რეაქციის სიბრტყის ასაგებ ნაწილაკებში ერთი მაინც დამცემის სტრიპინგის არსებობის მოთხოვნა, მკვეთრად ამცირებს სტატისტიკას რაც ზრდის ცდომილებას. ამიტომ ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ მეორე მეთოდს.
- ადსანიშნავია, რომ d-C არის ყველაზე მსუბუქი ბირთვული წყვილი და d-Ta და He-Ta ყველაზე არასიმეტრიული ბირთვული წყვილი, რომლებშიც სადღეისოდ სწორედ ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა კოლექტიური გამოდინების ეფექტები. დადგინდა კოლექტიური გამოდინების F-პარამეტრის ზრდა სამიზნე ბირთვის მასის (C-დან Ta-ზე გადასვლა) ზრდასთან ერთად: **79.3±5.1** (d-C) **138.8±6.6** (d-Ta) და **91.8±2.6** (He-C), **147.7±5.5** (He-Ta) (მევ/c).
- მიღებული ექსპერიმენტული შედეგები აღიწერა ულტრარელატივისტური კვანტურ მოლეკულურ-დინამიკური (UrQMD) მოდელით. მიღებული იქნა კარგი თანხვედრა. d-C, He-C, d-Ta და He-Ta ბირთვული წყვილებისათვის მოდელირებულ შემთხვევებში გამოდინების პარამეტრი **F=74.6±2.6**, **89.9±1.3**, **133.4±3.9** და **143.1±3.1** (მევ/c), შესაბამისად.

3.4 გევ/ნუკლონზე ენერგიის დროს d-C, He-C, d-Ta და He-Ta დაჯახებებში პროტონების ელიფსური გამოდინებებისა და π^- -მეზონების მიმართული განივი გამოდინებების გამოსაკვლევად რეაქციის სიბრტყის მონაწილე პროტონებით (მპ) განსაზღვრისას, დადგენილ იქნა:

- პროტონების ეგ-ის ანიზოტონპიული გამოსხივების კოეფიციენტი $a_2 = -0.023 \pm 0.008$ -დან (d-C) იზრდება **-0.051±0.012**-მდე (He-Ta) დამცემი A_P და სამიზნე A_T ბირთვების მასური რიცხვების ზრდასთან ერთად.
- d-C და He-C ურთიერთქმედებებში პიონების მიმართულ გამოდინებას აქვს იგივე მიმართულება რაც პროტონების გამოდინებას, მაშინ როცა d-Ta და He-Ta ურთიერთქმედებებში პიონები გამოედინებიან პროტონების საწინააღმდეგო მიმართულებით.
- π^- -მეზონების მიმართული განივი გამოდინების F-პარამეტრის იზრდება დამცემი და სამიზნე ბირთვის მასის ზრდასთან ერთად: **14.4±3.6** მევ/c-დან (d-C) **48.7±7.2** მევ/c-მდე (He-Ta).
- მიღებული ექსპერიმენტული შედეგები აღიწერა ულტრარელატივისტური კვანტურ მოლეკულურ-დინამიკური (UrQMD) მოდელით. ექსპერიმენტის მსგავსად,

პროტონების ანიზოტოპიული გამოსხივების **a₂** კოეფიციენტი და π^- -მეზონების მიმართული განივი გამოდინების **F**-პარამეტრი იზრდება დამცემი **A_P** და სამიზნე **At** ბირთვების მასური რიცხვების ზრდასთან ერთად:

a₂: -0.026 ± 0.006 -დან (d-C) -0.046 ± 0.006 -მდე (He-Ta);

F: 15.4 ± 1.5 მევ/ც-დან (d-C) 50.1 ± 3.4 მევ/ც-მდე (He-Ta).

ამოცანა 2.

ექსპერიმენტული მასალა მიღებულია ქ. დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის მაღალი ენერგიების ლაბორატორიაში (ბკგი მელ) პროპანის 2-მეტრიანი ბუჭბოვანი კამერის PBC-500 საშუალებით.

ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში ხისტი და რბილი პროცესების განცალება შეიძლება მოხდეს ე.წ. n_k -კუმულატიური ცვლადის საშუალებით.

n_k შეიძლება განიმარტოს, როგორც სამიზნე ბირთვის მინიმალური მასა, რომელიც აუცილებელია მოცემული მეორადი ნაწილაკის წარმოსაქმნელად. ნაწილაკს, რომლის $n_k \geq 1$ ვუწოდებო კუმულატიურ ნაწილაკს. ზოგადად n_k -ს ეწოდება კუმულატიურობის რიგი (საზომი). ნაწილაკი რომლის $n_k \geq 1$ იძლევა ინფორმაციას ხისტი პროცესების შესახებ და ბირთვული გარემოს როლის შესახებ ნაწილაკების მახასიათებლების ჩამოყალიბებაში.

At-ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში დაბადებული მეორადი ნაწილაკების (π^- -მეზონები და p -პროტონები) შესწავლამ n_k -კუმულატიური რიცხვისაგან დამოკიდებულებით, გვიჩვენა:

1. ბირთვ - ბირთვულ დაჯახებებში დაბადებული მეორადი ნაწილაკების საშუალო კინემატიკური მახასიათებლები n_k -საგან დამოკიდებულებით არსებითად იცვლება არეში დაახლოებით 0.3 (p -პროტონებისათვის მნიშვნელოვნად, π^- მეზონებისათვის უმნიშვნელოდ);
2. DCM მოდელი კარგად აღწერს ინკლუზიური π^- მეზონების საშუალო მახასიათებლებს ($\pi^-(t)$ - მეზონები), მაგრამ არსებითად განსხვავებულია π^- (b)-უკან მიმფრინავი მეზონებისაგან. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ π^- (b)- მეზონები სამიზნე ბირთვის ფრაგმენტაციის არეში იბადებიან და მათი n_k -კუმულატიური რიცხვის საშუალო მნიშვნელოვნად აღემატება ($\pi^-(t)$ - მეზონის კუმულატიური ცვლადის საშუალოს).
3. პროტონების კინემატიკური მახასიათებლები კუმულატიური ცვლადის არებში $n_k < 0.3$ და $n_k \geq 0.3$ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, მაგრამ როცა $n_k \geq 0.6$ იმპულსური მახასიათებლები მხოლოდ უმნიშვნელოდ იცვლებიან;
4. არსებითად კუმულატიური პროტონების $n_k(p) \geq 1$ წვლილი t -მოელ სტატისტიკაში არის დაახლოებით 18%) და აქედან $\approx 60\%$ - კუმულატიური ჭავლები, მიფრინავს უკან -ლაბორატორიულ სისტემაში;
5. ჩვენს ენერგიებზე (4.2AGeV/C) კუმულატიური π^- მეზონები ($n_k(\pi^-) \geq 1$ პრაქტიკულად არ არსებობენ);
6. პროტონებსა და π^- მეზონებს, რომლებიც მიფრინავენ უკან ლაბორატორიულ სისტემაში (p^b და π^b , შესაბამისად) გააჩნიათ საშუალო იმპულსები გაცილებით მცირე და გამოფრენის კუთხე გაცილებით დიდი, ვიდრე ინკლუზიურ π^- მეზონებს და პროტონებს ე.ი. მათი დაბადების მექანიზმები მნიშვნელოვნად განსხვავებულებია;

7. p^b და π^b ნაწილაკების საშუალო T - ტემპერატურა გაცილებით მცირეა, ვიდრე ინკლუზიური საშუალო ტემპერატურა
 $T(P^b) = (73 \pm 1) \text{ Mev}$, $T(\pi^b) = (52 \pm 1) \text{ Mev}$.

ამოცანა N 3.

მივიღეთ, რომ გდმ დამაკმაყოფილებლად აღწერს მრავლობითობის განაწილებებს ადრონ-ბირთვულ და ადრონ-ადრონულ ურთიერთქმედებებში.


დადგენილია:

1. გდმ კარგად აღწერს ექსპერიმენტულ მონაცემებს ადრონ-ბირთვულ და ბირთვ-ბირთვულ დაჯახებებში.
2. ერთნაირი ენერგიების შემთხვევაში აქტიური გლუონების საშუალო მრავლობითობა - $\langle m \rangle$ ადრონ-ბირთვულ და ბირთვ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში პრაქტიკულად ერთნაირია.
3. დამჯახებელი ნაწილაკების ენერგიის ზრდასთან ერთად იზრდება აქტიური გლუონების საშუალო მრავლობითობა - $\langle m \rangle$ ყველა ურთიერთქმედებაში.


გლუონური დომინანტობის მოდელის სპეციფიკური განსაკუთრებულობა არის მრავლობით დაბადებაში აქტიური გლუონების დომინანტობა. მოსალოდნელია, რომ ზემაღლ ენერგიებზე ბირთვულ დაჯახებებში ჩამოყალიბდება მატერიის ახალი სახე — კვარკ-გლუონური პლაზმა.

4. ზემაღლ ენერგიებზე (200 GeV) პროტონ-არგონისა და პროტონ-ქსენონის დაჯახებებში დაბადებული ადრონების განაწილებები მრავლობითობის მიხედვით შევისწავლეთ გლაუბერის გეომეტრიული მოდელით. მოდელი და ექსპერიმენტი კარგ თანხმობაშია. მოდელური პარამეტრი β , რომელიც ასახავს ბირთვის როლს, არის \sim არის 0.65 , რაც მიუთითებს პროცესში ბირთვის არსებით როლზე.
5. dC/dx დეიტონ-ნახშირბადის ფაჯახებებში დაბადებული სტრიპინგული პროტონებისთვის მიღებულია მოდელური განაწილებები ცვლადების x და p_T განივისათვის, რომლებიც გამოისახებიან დეიტონის რელატივისტური ტალღური ფუნქციით.

მოდელურად მიღებულია მაქსიმუმის წერტილის მდებარეობა სტრიპინგული პროტონების x განაწილებაში



ნახ.1 CTa დაჯახებებში დაბადებული პ-პროტონების განაწილება n_p -კუმულატიური ცვლადის მიხედვით: • $n_p(t)$ – მთლიანი სტატისტიკისათვის და \blacktriangle $n_p(b)$ – პროტონებისათვის, რომლებიც მიფრინავენ უკან -ლაბორატორიულ სისტემაში



ნახ. 2 CTa დაჯახებებში დაბადებული პროტონების იმპულსური განაწილება n_k -ცვლადისაგან დამოკიდებულებით - • ($n_k \geq 0.6$) და ▲ ($n_k < 0.6$)

მიმღინარე წელს გამოქვეყნებული შრომები:

- 1) Temperatures of Λ Hyperons, K^0 and π^- mesons Produced in C+C and Mg-Mg Collisions at 4.2÷4.3 AGeV/c. [L. Chkhaidze](#), [T. Djoberava](#), [L. Kharkhelauri](#), Bull. of the Georgian National Acad. of Scie. vol. 4, no.2, p.41, 2010.
- 2) Momentum and Angular Characteristics of protons and π^- - mesons from HeTa and dTa Interactions at 4.2 AGeV/c. L. Akhobadze, V. Garsevanishvili , Yu. Tevzadze. Bull. of the Georgian National Acad. of Scie. V.4 N2, p. 35, 2010;
- 3) Анализ распределений множественности заряженных частиц в адрон-ядерных столкновениях в рамках модели Глаубера.
T. Jalagania, Yu. Tevzadze, M. Gochitashvili.

GESJ-Georgian Electronic Scientific Journal, 2010-08-04. ID:1751. Checking.

მიმღინარე წელს გამოსაქვეყნებლად მომზადებული შრომები:

- 1) Study of collective flow effects of protons and π^- mesons in d(C, Ta) and He(C, Ta) collisions at a momentum of 4.2-GeV/c per nucleon; [L. Chkhaidze](#), [T. Djoberava](#), [L. Kharkhelauri](#) ([Tbilisi State U.](#)), [E. Kladnitskaya](#), V. V. Uzhinskii ([Dubna, JINR](#));
გაიგზავნება ჟურნალში Phys. Atom. Nucl.
- 2) Description of Multiparticle Production of Charged Particles by Gluon-Dominance Model in Hadron-Hadron and Hadron-Nucleus Collisions.
. ლ. აბესალაშვილი, ლ. ახობაძე , ი. თევზაძე

გრანტი: საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ) GNSF/ST08/4-418

სულ: 150 000 ლარი,

ზედნადები ხარჯი: 15 000 ლარი

თეორიული კვლევები

მიმართულება 1 : სპინის ფიზიკა (თეორია)

თემა: “ღრმად-არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები. დინამიკური სიმეტრიები და კვანტური მექანიკის თვითშეუდლებული გაფართოება”.

თემის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეც. დოქტორი, პროფ. ანზორ ხელაშვილი
მონაწილეები: ფიზ. მათ. მეც. კანდიდატი თეიმურაზ ნადარეიშვილი, ფიზ. მათ.
მეც. დოქტორი ზაქარია მერგბაშვილი, თამარ ხაჩიძე

2010 წელს მოხდა თანამშრომელთა გადანაწილება უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების შედეგად. ზაქარია მერებაშვილი გამოეთიშა ჯგუფს, ამიტომ დარჩა მხოლოდ ორი თანამშრომელი. მიმდინარე წლის ანგარიშში აისახა მხოლოდ მათ მიერ გაწეული მუშაობა.

1. გამოკვლეულ იქნა კვარკებს შორის ურთიერთქმედების პოტენციალი შორ და საშუალედო მანძილებზე კონფაინმენტის რადიუსის მიხედვით. რისთვისაც გამოყენებული იყო ინფრაწითელ არეში დაისონ-შვინგერის განტოლების ამოხსნები გლუონის პროპაგატორისათვის, რომელიც ანალიზური გაგრძელებით შეკერილი იქნა ერთიანი ლოგარითმული ფუნქციის გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ ასეთი ინტერპოლაცია დამაკმაყოფილებლად აღწერს არა მარტო შორ მანძილებზე ყოფაქცევას, არამედ ეთანხმება ერთგლუონიანი გაცვლის ასიმპტოტიკას მოკლე მანძილებზე, სადაც ვლინდება ასიმპტოტური თავისუფლება.

შედეგები გამოქვეყნებულია შრომაში:

ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი. ”რიჩარდსონისა და კორნელის პოტენციალი კვარკებსა და ანტიკვარკებს შორის, გამომდინარე გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი ყოფაქცევიდან”. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი “მოამბე”. ტომი 4. ნომერი 3. გვერდები 45-47.

2. გაგრძელდა რადიალური შრედინგერის განტოლების სასაზღვრო თვისებების შესწავლა.

ნაჩვენებია, რომ რადიალური ტალღური ფუნქციის განტოლება სრულ სამგანზომილებიან შრედინგერის განტოლებასთან მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა თავსებადი, როდესაც გარკვეული სასაზღვრო პირობა ედება რადიალურ ტალღურ ფუნქციას სათავეში. შედეგი სამართლიანია როგორც რეგულარული, ასევე სინგულარული პოტენციალებისათვის.

შედეგები გამოქვეყნებულია შრომებში:

1. Anzor A. Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “What is the boundary condition for radial wave function of the Schrödinger equation ?” იბეჭდება ჟურნალში American Journal of Physics.

2. ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი. “შრედინგერის რადიალური განტოლების სასაზღვრო პირობების შესახებ”. გაგზავნილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ “მოამბეში”.

გამოსაქვეყნებლად მომზადებული შრომები:

1. A.Khelashvili, T.Nadareishvili. “Delta function singularity in the Reduction of Radial Schrodinger Equation”. arXiv:1009.3612. იგზავნება ჟურნალში “Theoretical and Mathematical Physics”.
2. Anzor A.Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “Status of the Radial Schrodinger Equation”. arXiv:1007.3513.იგზავნება ჟურნალში “Physical Review A”.

მზად არის გამოსაცემად სახელმძღვანელო:
ა.ხელაშვილი. "ველის კვანტური თეორიის ტოპოლოგიური მოდელები". (მონოგრაფია და სახელმძღვანელო მაგისტრანტებისათვის).

კონფერენციების ორგანიზება

2010 წლის 22 დეკემბერს მომზადდა საიუბილეო კონფერენცია აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის 80 წლისთავისთან დაკავშირებით.

—გამოიცა წიგნი: ანზორ ხელაშვილი. “აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე”

საქართველოს ეროვნული აკადემიის გამოცემლობა.

— დაიბჭდა სტატია გაზეთში “საქართველოს რესპუბლიკა”.

დისერტაციის დაცვა:

ა.წ. 25 დეკემბერს დანიშნულია თამარ ხაჩიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე: “ფარული დინამიკური სიმეტრიები რელატივიზმისტურ კვანტურ მექანიკაში” (ხელმძ. ანზორ ხელაშვილი). დაცვა შედგება ქ. ქუთაისში, ა.წერეთლის სახუნივერსიტეტში.

პრემია

საქართველოს ეროვნული აკადემიის ილია ვეგუას სახელობის 2010 წლის პრემია მათემატიკა, მექანიკა და ფიზიკაში მიენიჭა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ანზორ ხელაშვილს მონოგრაფიისათვის:

T.Khachidze and A.Khelashvili

“Dynamical Symmetries in the Coulomb-Kepler Problem in Classical and Quantum Mechanics: Nonrelativistic and Relativistic”. NOVA PUBLISHERS, NEW YORK.

მონოგრაფია ინგლისურ ენაზე ნიუ იორკში.

მიმართულება 2: ადრონთა კვარკული სტრუქტურა

თემა: “სამკვარკიანი ბმული სისტემების (ბარიონების) შესწავლა”

თემის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი თეიმურაზ კოპალეიშვილი

მონაწილეები: ფიზ. მათ. მეც. კანდიდატები: თამარ ბაბუციძე, ვაჟა სხირტლაძე

კვლევის საგანი: სამკვარკიანი სისტემები (N, Σ, Λ, Δ, Ω ბარიონები), მათი მასათა სპექტრი, ფორმ-ფაქტორები და დაშლები. კვლევის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტი: ლორენც-ინვარიანტული 3-განზომილებიანი სოლპიტერის განტოლება. კვლევის სირთულეები დაკავშირებულია ორ ძირითად გარემოებასთან. პირველი. კვანტური ქრომოდინამიკა არ იძლევა სოლპიტერის განტოლების გულის აგების ცალსახა საშუალებას. ეს გული ასახავს დატყვევებული კვარკების ურთიერთქმედებას (კონფინატი) და მისი შერჩევა ხდება “ხელით”. მეორე. სამი ნაწილაკის ამოცანის ამოხსნა რელატივიზმის გათვალისწინებით დიდ ანალიტიკურ და რიცხობრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

დღეისათვის

2009 წლის ბოლოსათვის სოლპიტერის განტოლებაში შემავალი 64-კომპონენტიანი სპინორი დაყვანილ იქნა ორ 8-კომპონენტიან სპინორზე. დადგინდა ამ სპინორების აგების სრული წესი. მათთვის მივიღეთ განტოლებათა სისტემა. 2010 წელი თითქმის მთლიანად დაეთმო 3q-სისტემების ტალღური ფუნქციების სტრუქტურის დადგენას. განსაკუთრებული სირთულეები უკავშირდებოდა ტალღური ფუნქციის ორბიტალური ნაწილის სხვადასხვა სიმეტრიის მქონე სტრუქტურების აგებას. შესაბამისი სიმეტრიზაცია მოხერხდა იუნგის სიმეტრიზატორებისა და რეინალ-რევას კოეფიციენტების გამოყენებით K-გარმონიკების მეთოდის ჩარჩოებში. ტალღური ფუნქციების ორბიტალურ ნაწილს მიესადაგა სპინის, იზოსპინის, უცნაურობისა და ფერის შესაბამის ფუნქციები. გარდა ამგვარი სამუშაოებისა, ჩვენ ასევე დავწერეთ (ან მოვიძიეთ) მრავალჯერადი ინტეგრალების დათვლის და წრფივ ალგებრული განტოლებათა სისტემების ამოხსნის სხვადასხვა FORTRAN-პროგრამები.

გრანტი:

ამავე ჯგუფმა (პლუს აკაკი რუსეცკი, ბონის უნივერსიტეტი) 2009 წელს
მოიპოვა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი
№ GNSF/ST08/4-401

“სამი ნაწილაკის ამოცანა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში”

ხანგრძლივობა: თორმეტი კვარტალი (დასაწყისი: 01.03.2009)

ბიუჯეტი: 101711, ას ერთი ათას შვიდას თერთმეტი ლარი
ზედნადები ხარჯები: 10171, ათი ათას ას სამოცდათერთმეტი ლარი

მიმართულება 3: არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენები


თემა: “B-მეზონების იშვიათი დაშლები”

თემის ხელმძღვანელი: ფიზ. მათ. მეც. დოქტორი გელა დევიძე

მონაწილეები: ფიხ. მათ. მეც. კანდიდატები აკაკი ლიპარტელიანი, ვახტანგ ქართველიშვილი

საანგარიშო პერიოდში შესწავლით იქნა ნეიტრალური ბოზონების ორფოტონიანი იშვიათი დაშლები აპელქვისტ-ჩენგ-დობრესკუს (აჩდ) უნივერსალურ დამატებით განზომილებიან მოდელში. არომატის შემცვლელი ნეიტრალური დენებით ინსპირირებული იშვიათი დაშლები სტანდარტულ მოდელში მიმდინარეობს მინიმუმ, ერთმარყუჟიან დონეზე და შესაბამისად, ძლიერადაა ჩახშობილი. ასეთი ტიპის პროცესები ძალიან მგრძნობიარენი არიან სტანდარტულ მოდელს მიღმა მოსალოდნელი ფიზიკის (ახალი ფიზიკის) მიმართ. იშვიათ პროცესებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ნეიტრალური ბოზონების ორფოტონიან დაშლებს მათი უნიკალურად სუფთა ექსპერიმენტული სიგნატურის გამო. ჩვენ მოვახდინეთ $B(s,d) \rightarrow \gamma\gamma$ დაშლის სტანდარტულ მოდელში ნაწინასწარმუტყველებ ფარდობით ალბათობასთან ჩვენს მიერ გამოკვლეულ დდგ თეორიაში მიღებული ფარდობითი ალბათობის შედარება. როგორც ცნობილია, $B(s,d)$ მეზონების ორმაგი რადიაციული დაშლები სმ-ში პირველად მხოლოდ ერთი მარყუჟის დონეზე წარმოიშობა. ამ დაშლებს კი ზემოთაღნიშნულ მოდელში განაპირობებს სრ-კვარკებითა და W -ბოზონებით გაცვლა მარყუჟის შიგნით. სტანდარტული მოდელის ფარგლებში აღნიშნული ფარდობითი ალბათობა $10^{-7}(10^{-9})$ შეადგენს შესაბამისად $B(s) \rightarrow \gamma\gamma$ ($B(d) \rightarrow \gamma\gamma$) დაშლებისათვის. მეორეს მხრივ, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ სმ-ს გაფართოებულ მოდელებში (სუპერსიმეტრიულ და სხვა მრავალპიგსიან მოდელებში) პარამეტრების გარკვეულ არებში მიღწეულ იქნას $B(s) \rightarrow \gamma\gamma$ პროცესის ალბათობის $\sim 10^{-6}$ -დე გაძლიერება. სენებული გაძლიერება მიიღწევა, ძირითადად, მარყუჟში დამუხტებული სკალარული პიგსის ნაწილაკებით გაცვლის შედეგად. ნალოგიური შესაძლებლობა არსებობს სხვა ეპხოტიკურ მოდელებშიც. მაგალითად, ეს ასეა აპელქვისტ-ჩენგ-დობრესკუს (ACD) მოდელში ერთი დამატებითი განზომილებით. ამ მიღვომაში დამუხტებული პიგსის ნაწილაკების “კოშკები”, რომლებიც უკვე რეალურ (და არა ფიქტიურ ველებს) ნაწილაკებს წარმოადგენენ თავისი მასითა და სხვა ფიზიკური მახასიათებლებით, იწვევენ პროცესის გაძლიერებას.

ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი გვიჩვენებს, რომ $\Gamma_{SM+ACD}(B \rightarrow \gamma\gamma)/\Gamma_{SM}(B \rightarrow \gamma\gamma) \approx 0.59$, როცა დამატებითი განზომილების კომპაქტიფიკაციის რადიუსის შებრუნებული სიდიდე $1/R \approx 250 \text{ GeV}$



ნახაზი. B-მეზონის ორგზის რადიაციული დაშლების სიგანეები აპელქვისტ-ჩენგ-დობრესკუს დიდი დამატებითი განზომილებების მოდელში და მათი დამოკიდებულება კომპაქტიფიკაციის შებრუნებულ რადიუსზე.

აღვნიშნოთ, რომ B-მეზონის ორგზის რადიაციული დაშლებში უნივერსალური დამატებითი განზომილებების მოდელის ყველა წვლილის გათვალისწინებას მივყავართ დაშლის ფარდობითი ალბათობის მცირედან ზომიერამდე შემცირებისაკენ. თუმცა ეს ბოლო სიტყვა არაა, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ ქქდ შესწორებებს მივყავართ $\Gamma(B_d[B_s] \rightarrow \mu^+ \mu^-)$ საგრძნობი გაძლიერებისაკენ (20-30)%-ით და იმასაც, რომ მუონური დაშლის მოდა ისევე არ შეიცავს საბოლოო მდგომარეობაში ადრონებს, როგორც $B(s,d) \rightarrow \gamma\gamma$. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ $B(s,d) \rightarrow \gamma\gamma$ მოდიფიცირდეს (შეიცვალოს) იგივე (20-30)%-ით ან ერთი, ან მეორე მიმართულებით.

საბოლოოდ ჩვენ ვასკვნით, რომ დიდი დამატებითი განზომილებების პვალი ნაკლებ სავარაუდოა დავინახოთ LHC-ATLAS დეტექტორზე. ამის მეტი შანსი აქვს LHC(b) კოლაბორაციას ან მითუმეტეს, SUPERB მეზონურ ფაბრიკას. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგულისმობთ სენებული კვალის დამზერას B-მეზონების იშვიათ დაშლებს და არა კალუცა-კლეინის კვანტების პირდაპირ დაბადებას.

მიმდინარე წელს გამოქვეყნებული შრომები:

1. G.G. Devidze, V. G. Kartvelishvili, A. G. Liparteliani „On Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model“, მიღებულია გამოსაქვეყნებლად ჯურნალში GESJ.

მიმდინარე წელს გამოსაქვეყნებლად მომზადებული შრომები: – “Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model”, G.G.Devidze, V.G.Kartvelishvili, A.G.Liparteliani, U.-G. Meißner

გრანტები (ბიუჯეტი, ზედნადები ხარჯები):

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ფონდი

1. ISTC G-1458 “The Search for and Study of a Rare Processes Within and Beyond Standard Model at ATLAS Experiment of Large Hadron Collider at CERN” 2007-2010

პროექტის მენეჯერი: გელა დევიძე, ხანგრძლივობა: 01.10.2007-01.10.2010
მთლიანი ბიუჯეტი: 305,724.45 USD, ზედნადები ხარჯები: 15,444.45 USD
წამყვანი ინსტიტუტი: თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი
ბიუჯეტი: **153,314.00 USD**
ზედნადები ხარჯები: **8,322.00 USD**

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

2.“ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობა ახალი ფიზიკის მიმართ”, № 185,
პროექტის მენეჯერი: გელა დევიძე, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ
ჯობავა, ხანგრძლივობა: 01.01.2008-31.12.2010

მთლიანი ბიუჯეტი: **150,000.00 ლარი**

ზედნადები ხარჯები: **15,000.00 ლარი**

3.“ლანგასტერ-თბილისის პროექტი: B-მეზონების და $\tau(\mu)$ -ლეპტონების
რადიაციული დაშლები, როგორც საშუალება დამატებითი განზომილებების
საკვლევად”,

პროექტის მენეჯერი/სამეცნიერო ხელმძღვანელი – ა.ლიპარელიანი,
ხანგრძლივობა 1.03.2009 – 1.03.2012.

ბიუჯეტი: **142 000 ლარი**

ზედნადები ხარჯები: **14 200 ლარი**

მოპოვებული იქნა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) გრანტი
(გელა დევიძე) და განხორციელდა 3 თვიანი პროექტი

მონაწილეობა კონფერენციებში:

ა. ლიპარელიანთან ერთად მომზადდა მოხსენება **G. Devidze, A. Liparteliani „On Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model“** და ის გამოქვეყნდა
საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის (ISTC) 13-ე საერთაშორისო
სიმპოზიუმზე“ მაღალი ენერგიების ფიზიკის ახალი პერსპექტივები” 1-5
სექტემბერი, 2010 წ., ნოვოსიბირსკის ბუდეკერის სახ. ბირთვული ფიზიკის
ინსტიტუტი, ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია.

Book of abstracts of 13-th ISTC SAC Seminar “New Perspectives of High Energy Physics
<http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/book.pdf>. p.14

საბაკალავრო ნაშრომი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ
და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფიზიკის მიმართულების
IV კურსის სტუდენტი ზარა ბალდასარიანი.

საბაკალავრო ნაშრომის თემა: სიმულაციის სპონსორი დარღვევა.

ხელმძღვანელი: გელა დევიძე

ტექნიკური კვლევები

მიმართულება: ინფორმაციული ტექნოლოგიები

თემა: “GRID ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი გამოყენება მაღალი ენერგიების ფიზიკაში”

თემის ხელმძღვანელი: ბადრი ჭილაძე

მონაწილეები: ც.იოსელიანი, ჯ.გეგია, ა.სიღელნიკოვი, ი.ტრეკოვი, გ.მალრაძე, დ.ჩხაბურიძე

ინსტიტუტის თანამშრომლების და უცხოელ კოლაბორანტების ერთობლივი კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა ინსტიტუტში განსახორციელებელი GRID კლასტერის სტრუქტურა და შედეგად შეირჩა შესაძენი კომპიუტერული ტექნიკა. ჯგუფი შეთანხმდა, რომ გრიდ კლასტერის ოპტიმალური არქიტექტურა იქნება შედმები:

- 1 CE – Computing Element (ამოცანების მართველი სერვერი)
- 1 UI – User Interface (მომხარებლების სამუაშო ადგილი, საიდანაც უშვებენ ამოცანებს)
- 1 SE – Storage Element (მონაცემების შენახვის სერვერი)
- 1 MON – Monitoring (მონიტორინგის სერვერი)
- 1 VOS – Virtual Organization Server (ვირტუალური ორგანიზაციების)
- 6 WN – Worker Node (გამომთვლელი კვანძი)

2009 წლს აგვისტოში შეძენილი იქნა შერჩეული კომპიუტერული ტექნიკა, რომლის მახასიათებლებიც ქვემოთა მოყვანილი.

GRID კლასტერი აწყობილ იქნა ყველა ტექნიკური მოთხოვნილიების გათვალისწინებით. გამოიყო ცალკე ფართობი, დამონტაჟდა გამაგრილებელი სისტემა, გამოთვლითი კვანძები განთავსდა სპეციალურ Rack კაბინაში, ამავე კაბინაში მოთავსდა უწყვეტი კვების წყარო (8კვტ), რომელსაც ელექტრო ენერგიის ავარიული გათიშვის შემთხვევაში შეუძლია სისტემა ამუშავოს რამოდენიმე საათის გამვალობაში. ამავე კაბინაშია მოთავსებული 24 პორტიანი networking switch, რომლის საშუალებით სერვერები უკავშირდებიან ერთმანეთს და ინტერნეტს.

მონაცემთა შენახვის სერვერზე დაყენებულია ავტომატური შენახვის პროგრამული სისტემა (Raid5), რომლის დანიშნულებაა მონაცემების შენახვა მყარი დისკის ტერიკური დაზიანების შემთხვევაში, მომხარებელისათვის გამოყოფილი რჩება 2 ტერაბაიტი მებსიერება.

გთავაზობთ ძირითადი კომპონენტების ტექნიკურ მონაცემებს :

- WN – HP DL160 G6: CPU - 2 Intel Xeon Processor E5520 - 2.27 GHz, RAM - 8GB, HDD - 250 GB SATA
- SE – HP Proliant ML 150 G6: CPU - 1 Intel Xeon Processor E5520 - 2.27 GHz, RAM - 2 GB, HDD - 3TB (3 x 1TB SATA) Raid5
- CE – HP dx7500: CPU - Intel Core 2 Duo Processor E7400 – 2.8 GHz, RAM - 2 GB, HDD –320 GB SATA
- Power Supply (კვების წყარო) – APC 192V Battery PackExtended runtime Unit
- Rack cabinet - HP Universal Rack 10642 G2 Pallet Rack

GRID კლასტერის ინსტალაცია-გამართვა მიმდინარეობდა რამოდენიმე ეტაპად, კომპიუტერული და ქსელური ტექნიკის დამონტაჟება გამართვა, ოპერაციული სისტემების დაყენება გამართვა (ყველა კომპონენტზე, CE და MON –ის გარდა დაყენებულია ცერნის ლინუქსი 5.5, ხოლო ამ ორ კომპონენტზე ცერნის ლინუქსი 4.8), ქსელური შეერთებების გამართვა და დომეინ სერვერის შესაბამისი კონფიგურაცია. ამის შემდეგ დაიწყო თვითონ Glite კომპონენტების დაყენება გამართვა. CE და MON –ის გარდა გამოყენებულ იქნა ბოლო 3.2 ვერსია, ხოლო ამ ორ კომპონენტზე 3.1 ვერსია. 3.2 ვერსია ამ ორი კომპონენტისთვის ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

მთლიან პროცესში ყველაზე შრომატევადი აღმოჩნდა Glite კომპონენტების დაყენება გამართვა. მოხდა კომპონენტების საერთო კონფიგურაციული პარამეტრების ჩამოყალებება, ამის შემდეგ დაყენდა და გაიმართა ჯერ User Interface, შემდეგ Computing Element და Worker Node-ები, შემდეგ Storage Element- და Virtual Organization Server-, სულ ბოლოს ამუშავდა Monitoring-ის კვანძი.

მოხდა GRID კომპონენტებისთვის და ადმინისტრატორებისთვის სერტიფიკატების მიღება, რასაც საკმაო დრო დაჭირდა (სერტიფიკატი აუცილებელია ერთიან ინფრასტრუქტურაში ინტეგრაციისთვის, სერტიფიკატის ქონა ნიშნავს რომ ჩვენი კლასტერი მიღებულია და ითვლება ინფრასტრუქტურის შემადგენელ ნაწილად).

ინსტიტუტის GRID კლასტერის კომპონენტები სერტიფიცირებულია და რეგისტრირებულია შემდეგი სახელებით:

ce.hepi.edu.ge – Computing Element (ამოცანების მართველი სერვერი)

ui.hepi.edu.ge – User Interface (მომხმარებლების სამუშაო ადგილი, საიდანაც უშვებენ ამოცანებს)

se.hepi.edu.ge – Storage Element (მონაცემების შენახვის სერვერი)

mon.hepi.edu.ge – Monitoring (მონიტორინგის სერვერი)

vos.hepi.edu.ge – Virtual Organization Server (ვირტუალური ორგანიზაციების)

wn1, wn2, wn3, wn4, wn5, wn6 (hepi.edu.ge) – Worker Node (გამომთვლელი კვანძები).

ამჟამად GRID კლასტერი სტაბილურად მუშაობს, შესაძლებელია სისტემაში დიდი მოცულობის მონაცემების გადატანა - შენახვა, ამოცანების გამვება და პასუხების მიღება. დღეისათვის გამომთვლელ კვანძები შედგება 6 მბლავრი ორ პროცესორიანი კომპიუტერისაგან (მისი გამოთვლითი სიმძლავრე შეადგენს ~450 Gflop-ს) რაც საშუალებას იძლევა კლასტერზე 12 ამონაცის ერთდროულ შესრულებას. კლასტერი აღჭურვილია სტანდარტული ბიბლიოთეკებით თუმცა მომხმარებლების ამოცანების სფერიფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მასზე სხვა არასტანდარტული პროგრამების და ბიბლიოთეკების დაყენება. მარტივად რომ ვთქვათ კლასტერებზე შესაძლებელია მოხდეს ნებისმიერი ამოცანის შესრულება, მთავარი მოთხოვნაა რომ ამოცანა განსაზღვრულ იყოს ლინუქსის პლატფორმისთვის, ამისათვის გამოყოფილია სპეციალური ადგილი.

კლასტერზე სამუშაოდ მომხმარებელმა საჭიროა მიიღოს შესაბასი ავტორიზაციის უფლება (მომხმარებლის სახელი და პაროლი). შემდეგ იგი ნებისმიარი კომპიუტერიდან შეძლებს კლასტერთან დაკავშირებას და ამოცანების გამვებას (ამოცანის ატვირთვა, შესრულება, პასუხების მიღება, ჩამოტვირთვა).

კლასტერი რეგისტრირებულია და ინტეგრირებული SEEGRID საერთაშორისო სისტემაში (არის ამ სისტემის ერთ-ერთი წევრი)

სურათებზე იხილეთ ჩვენი კლასტერის საერთაშრისო სისტემის წევრობის სტატუსი

ID	Site ID	Institution Name	e-mail	Phone	Comments
1	GE-01.GRENA	Georgian Research And Educational Networking Association	grid-admin@grena.ge	+995 32 250591	Admin List
2	GE-02.HEPI	Institute of High Energy Physics	dato@hepi.edu.ge	+995 32 188907	Admin List

Important: This site works best with Firefox

© 2006 TÜBİTAK - ULAKBİM

DC=ORG DC=SEE-GRID O=People O=Institute of High Energy Physics CN=Davit Chkhabberidze

The screenshot shows a Mozilla Firefox browser window with the title "BBmSAM @ BA-01-ETFBL - Mozilla Firefox". The address bar shows the URL: https://c01.grid.ETFBL.net/bbmsam/?f_filter_site[countryid]=72&f_filter_site[ter]=0&f_filter_site[status]=0&f_filter_site[state]=0&submit>Show. The page content displays a table titled "Latest results for: CE LFC LFC_C LFC_L MPI SE SRM SRMv1 SRMv2". The table has columns: SITE, COUNTRY, TIER, STATUS, TYPE, and SERVICE STATUS. Two rows are listed:

SITE	COUNTRY	TIER	STATUS	TYPE	SERVICE STATUS
GE-01-GRENA	Georgia	1	Certified	Production	CE ce - note 1.9 d SE se - ok 1.6 d
GE-02-HEPI	Georgia	1	Certified	Production	CE ce - note 1.9 d SE se - ok 20.6 h

Below the table are filter options: Filter (Georgia), Tier (Tier), Certification (Certification), Status (Status), Show. There are also buttons for Generate, SEE-GRID-SCI SLA, HTML, All sites, from: 2010-10-11, to: 2010-10-17, and >>>. The bottom of the page includes a HOME link and a note: "Created by Mihajlo Savic in 2008."

თემა: ბირთვულ ენერგეტიკის უსაფრთხოების კვლევა. (2010-2011 წ.)


შემსრულებლები: ნ. ლომიძე, გ. ნიორაძე, მ.გაბიძე, ბ.ჭილაძე,
ა.სილელნიკოვი, ი.ტრეკოვი.

ბირთვულ რეაქტორში ურანის ბირთვის გახლების შედეგად დაბადებული ბირთვები უმეტესად აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მირითად მდგომარეობაში გადასვლისას გასმოასხივებენ უ კვანტებს. ცნობილია, რომ ურანის თითოეული ბირთვის გახლებისას წარმოიქმნება საშუალოდ 1მეგ ენერგიის მქონე 12 ცალი უ კვანტი და სწორედ მათი რეგისტრაცია წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

ასეთი ფოტონები რადიატორის ნივთიერებაში მოხვედრისას ძირითადად განიცდიან კომპტონის გაბნევას რადიატორის ატომების ელექტრონებზე. გაბნევის შედეგად დაბადებულმა თავისუფალმა ელექტრონებმა შეიძლება გამოიწვიონ ჩერენკოვის გამოსხივება თუ მათი სიჩქარე აღმოჩნდება მეტი, ვიდრე სინათლის სიჩქარე მოცემულ ნივთიერებაში. შემდგომში შეუქამდარის მეშვეობით უნდა მოხდეს ჩერენკოვის გამოსხივების ტრანსპორტირება ფოტოელექტროგამამრავლებლის კათოდამდე და მათი რეგისტრაცია. ფიზიკური პროცესების მთელი ამ ციკლის ანალიზისათვის, ცხადია, საჭიროა მათი მოდელირება, რათა შევძლოთ რადიატორის ნივთიერების, ოპტიმალური ფორმის და ზომების დადგენა.

მოდელირების პროგრამის შესაქმნელად შერჩეულ იქნა მაღალი ენერგიების ფიზიკაში ფართოდ გამოყენებული პროგრამული პაკეტი GEANT3 (Detector Description Simulation Tool [1]), რომელიც დაწერილია პროგრამირების ენა FORTRAN-ზე და ფუნქციონირებს ოპერაციულ სისტემა LINUX-ის გარემოში. მისი დახმარებით შესაძლებელია ნივთიერებაში გამოსხივების გავლისას მიმდინარე სხვადასხვა პროცესების მოდელირება, დეტექტორის საჭირო დიზაინის შექმნა და მისი გამოძახილის ფუნქციის სხვადასხვა პარამეტრებზე დამოკიდებულების შესწავლა.

კომპტონის გაბნევის შედეგად დაბადებული ელექტრონები, რომლებიც მოცემულ გარემოში მოძრაობენ სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარით, იწვევენ “ჩერენკოვის” სინათლის გამოსხივებას. ნახ.1-ზე ნაჩვენებია მოდელირების შედეგი 1მეგ ენერგიის მქონე ფოტონების კვარცის ატომებთან ურთიერთქმედების შედეგად [2-6] (კომპტონის გაბნევა) დაბადებული ისეთი ელექტრონების კინეტიკური ენერგიების განაწილება, რომლებიც იწვევენ ჩერენკოვის ნათებას.



ნახ. 1. მოდელირების პროგრამით მიღებული კომპტონის გაბნევის შედეგად დაბადებული ელექტრონების კინეტიკური ენერგიების განაწილება კვარცში.

ცხადია, რაც მეტია დაბადებული ჩერენკოვის ფოტონების რიცხვი, მით უფრო ადვილია მათი რეგისტრაცია. მათი რიცხვი დამოკიდებულია ერთის მხრივ რადიატორის ნივთიერების გვარობაზე, მეორეს მხრივ რადიატორში ნივთიერების რაოდენობაზე. რადიატორში ფოტონების გავრცელებისას ვითვალისწინებდით მათი შთანთქმისა და რადიატორის კედლებიდან არეკვლის პროცესებს. ჩერენკოვის ფოტონების მაქსიმალური რაოდენობით დაბადებისათვის რადიატორის სიგრძის ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენისთვის საწყის ეტაპზე რადიატორის ფორმად არჩებული იქნა ცილინდრი, რომლის ფუძის დიამეტრიც შეადგენდა 1სმ. დიამეტრის ეს მნიშვნელობა ნაკარნახევი იყო შერჩეული ფოტოელექტროგამამრავლებლის (ფე) Photomultiplier Tubes R1463P, Hamamatsu [7] კათოდის დიამეტრის მნიშვნელობით. თავის მხრივ ამ ფეზ-ს არჩევა გამოწვეულია მისი კვანტური ეფექტურობის მრუდით – კვანტური ეფექტურობის არე და მისი მაქსიმუმის მდებარეობა შეესაბამება ულტრაისფერ არეს. უპირატესად სწორედ ამ არეში ხდება ჩერენკოვის ფოტონების გამოსხივება. ამასთან ერთად, იგი უკვე არსებობდა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში.


მოდელირებისას განიხილებოდა ცილინდრის ერთ-ერთი ფუძის ფართობზე, ცილინდრის დერძის პარალელურად 1მევ ენერგიის მქონე ფოტონის დაცემა (თანაბრად) და გავრცელება რადიატორის ნივთიერებაში. ასევე გაკეთდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების (კომპტონის გაბნევა, დაბადებული თავისუფალი ელექტრონის იონიზაციური კარგვები, ჩერენკოვის ფოტონების დაბადება, მათი გავრცელება რადიატორში, არეკვლები რადიატორის კედლებიდან და რადიატორიდან შესაძლო გამოსვლა) მოდელირება შესაბამისი კანონებით. რადიატორიდან გამოსული ჩერენკოვის ფოტონები ხვდებოდნენ ოპტიკურ შუქამტარში.

imisaTvis, rom SuqgamtarSi moxvedrili gamosxiveba gavrceldes masSi mcire danakargebiT, saWiroa, rom SuqgamtarSi sxivi (fotoni) Sevides garkveuli kuTxiT, raTa adgili hqondes srul Sinagan arekvlas. SuqgamtarSi Sesvlis maqsimaluri kuTxe ganisazRvreba Suqgamtaris Siga (n_1) da gare (n_2) fenebis gardatexis maCvenebiTiT: $n \sin \theta_{\max} = \sqrt{n_1^2 - n_2^2}$.

მყარი მასალისაგან რადიატორების დასამზადებლად შერჩეული იქნა კვარცი და ორგანული მინა. მათი ფორმებისა და ზომების შერჩევისას ასევე გამოვიყენეთ მოდელირების შედეგები. ორგანული მინისაგან დამზადებული რადიატორის ოპტიმალური ფორმაა ცილინდრისა (სიგრძით 11სმ და ფუძის დიამეტრით 0.8სმ) და წაკვეთილი კონუსის (სიგრძით 3სმ და ფუძეების დიამეტრებით 0.8 და 1.0სმ) კომბინაცია. კვარცის რადიატორისთვისაც ოპტიმალური ფორმა იგივეა: ცილინდრისა და წაკვეთილი კონუსის ერთობლიობა (2სმ სიგრძისა და 0.8 სმ ფუძის დიამეტრის მქონე ცილინდრი და წაკვეთილი კონუსი, რომლის სიგრძეა 6სმ, ხოლო ფუძეების დიამეტრი 0.8სმ და 1.0სმ). ამის საფუძველზე დაგამზადეთ საცდელი ნიმუში ორგანული მინისაგან. სინათლის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ავითვისეთ რადიატორის ზედაპირის პოლირება.

როგორც მოდელირების შედეგებმა აჩვენა ჩერენკოვის ფოტონების გამოსავალი კვარცის რადიატორში ~ 4-ჯერ მეტია, ვიდრე ორგანული მინის რადიატორში. რადგანაც კვარცისაგან აღნიშნული ფორმის რადიატორის დამზადება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კვარცის რადიატორი დაგვემზადებინა ცილინდრული ფორმის, რომლის დიამეტრია 10 მმ., ხოლო სიგრძე 100 მმ.

შუქამტარის მიერთება რადიატორთან და ფოტოელექტროგამამრავლებელთან (ფებ) მოითხოვს მიერთების ადგილებში საიმედო ოპტიკურ კონტაქტს, რათა მინიმუმამდე დაგიყვანით სინათლის დანაკარგები. ამისათვის დამუშავებული იქნა გარდამავალი კონტაქტების სპეციალური კონსტრუქციები. დამუშავებული ნახაზების მიხედვით დამზადებული იქნა ფების მეტალის გარსაცმი და ოპტიკური კონტაქტების შემაერთებელი კონსტრუქციები.




ნახ. 2.

აწყობილი იქნა ჩერენკოვის გამოსხივების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლის სტრუქტურა ნახვენებია ნახ. 2-ზე.

ნახაზზე გადანომრილი ბლოკები წარმოადგენებ: 1.რადიატორი-ჩერენკოვის გამოსხივების წყარო, 2.ულტრაინისფერი გამოსხივების შუქდიოდი, 3.იმპულსების გენერატორი - DG - 535, 4.ფოტოელექტრონული გამამრავლებელი (ფებ) R1463P Hamamatsu, 5.რეგულირებადი მაღალი ძაბვის კების წყარო CHQ 223 M, 6.წინასწარი გამაძლიერებელი 7176 Phillips, 7.ძირითადი გამაძლიერებელი 7171 Phillips, 8.დისკრიმინატორი C894, 9.იმპულსების მთვლელი S3 150 MHz Counter, 10.კამპანის კონტროლერი CC32, 11.პერსონალური კომპიუტერი.

ჩატარებული იქნა სისტემის გამოცდა ინტეგრალურ და იმპულსურ რეჟიმში. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ელექტრონული სისტემის ელემენტები და მათი პარამეტრები სწორადად შერჩეული.

მას შემდეგ რაც მივიღეთ კვარცისაგან დამზადებულ შვიდწერიანი 5 მეტრის სიგრძის მეტალის გარსაცმში მოთავსებულ ოპტიკური შუქამტარი აეწყო და გამოიცადა ჩერენკოვის დეტექტორი. ნახ. 3-ზე ნახვენებია დისკრიმინატორის საშუალებით პროგრამით LabVIEW[8] გადაღებული ამპლიტუდური სპექტრები: а) ჩერენკოვის დეტექტორი კვარცის შუქამტარით + კვარცის რადიატორი და ფებ; б) ჩერენკოვის დეტექტორი კვარცის შუგამტარით და ფებ. როგორც ნახაზიდან ჩანს სპექტრები თითქმის იდენტურია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ოპტიკური კონტაქტების ადგილებში დანაკარგები თითქმის არ არის (რაც ცხრილებიდანაც დასტურდება) და აგრეთვე ადგილი არა აქვს ამპლიტუდური სპექტრის დამახინჯებას.



ჩატარებულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ ჩერენკოვის დეტექტორის აწყობაში ჩვენს მიერ მეტნაკლებად გათვალისწინებულია ყველა ის მოთხოვნა, რაც დასმული ამოცანის შესრულებისათვისაა საჭირო.

ლიტერატურა

- [1] <http://wwwasd.web.cern.ch/wwwasd/geant/>
- [2] J.C.Butcher and H.Messel. *Nucl. Phys.*, 20:15, 1960.
- [3] R.Ford and W.Nelson. SLAC 210, UC 32. SLAC, June 1978.
- [4] H.Messel and D.F.Crawford. volume 3. Pergamon Press, 1970.
- [5] <http://pdg.lbl.gov/2009/>
- [6] <http://refractiveindex.info/>
- [7] http://sales.hamamatsu.com/assets/pdf/parts_R/R1463.pdf
- [8] Suranov A.Y. LabVIEW 7: Reference book on functions. Moscow 2005г. (in Russian).
www.ni.com/labview

საანგარიშო პერიოდში თსუ მეფი-ის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულია (ან გადაცემულია გამოსაქვეყნებლად) შემდეგი ნაშრომები:

- გამოქვეყნებული შრომები:
- 1) Study of energy response and resolution of the ATLAS barrel calorimeter to hadrons of energies from 20-GeV to 350-GeV.**
By ATLAS Collaboration (E. Abat., L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). 2010. 17pp.
Published in **Nucl.Instrum.Meth.A621:134-150,2010**.
 - 2) Measurement of pion and proton response and longitudinal shower profiles up to 20 nuclear interaction lengths with the ATLAS tile calorimeter.**
P. Adragna, L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al. 2010. 24pp.
Published in **Nucl.Instrum.Meth.A615:158-181,2010**.
 - 3) Performance of the ATLAS Detector using First Collision Data.**
By Atlas Collaboration (G Aad., L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). May 2010. 65pp.
Published in **JHEP (Journal of High Energy Physics) 1009:056,2010**.
e-Print: [arXiv:1005.5254](https://arxiv.org/abs/1005.5254) [hep-ex]
 - 4) The ATLAS Inner Detector commissioning and calibration.**
By ATLAS Collaboration (P. Ryan, L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). 2010. 34pp.
Published in **Eur.Phys.J.C70:787-821,2010**. , e-Print: [arXiv:1004.5293](https://arxiv.org/abs/1004.5293) [physics.ins-det]
 - 5) Charged-particle multiplicities in pp interactions at $\sqrt{s} = 900$ GeV measured with the ATLAS detector at the LHC.**
By ATLAS Collaboration (G. Aad., L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). CERN-PH-EP-2010-004, Mar 2010. 40pp.
Published in **Phys.Lett.B688:21-42,2010**. , e-Print: [arXiv:1003.3124](https://arxiv.org/abs/1003.3124) [hep-ex]
 - 6) Drift Time Measurement in the ATLAS Liquid Argon Electromagnetic Calorimeter using Cosmic Muons.**
By ATLAS Collaboration (G Aad., L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). 2010. 30pp.
Published in **Eur.Phys.J.C70:755-785,2010**. e-Print: [arXiv:1002.4189](https://arxiv.org/abs/1002.4189) [physics.ins-det]
 - 7) Readiness of the ATLAS Liquid Argon Calorimeter for LHC Collisions.**
By ATLAS Collaboration (G Aad., L. Chikovani, ... T. Djobava, ..., A. Henriques, ..., J. Khubua, G. Mchedlidze, I. Minashvili, .. M. Mosidze, ..., et al.). 2010. 31pp.
Published in **Eur.Phys.J.C70:723-753,2010**. e-Print: [arXiv:0912.2642](https://arxiv.org/abs/0912.2642) [physics.ins-det]
 - 8) “Response and Shower Topology of 2 to 180 GeV Pions Measured with the ATLAS Barrel Calorimeter at the CERN Test-beam and Comparison to Monte Carlo Simulations.”**
E. Abat., P. Ardanga, G. Arabidze, ..., Yu. Buragov, T. Djobava, ..., A. Henriques, Y. Kulchitsky, J. Kramov, ..., J. Khubua, I. Minashvili, M. Mosidze, L. Price, R. Stanek, P. Tsiareshka, et al
ATL-CAL-PUB-2010-001. - 2010. - 92 p.
 - 9) Temperatures of Λ Hyperons, K^0 and π^- mesons Produced in C+C and Mg-Mg Collisions at $4.2 \div 4.3$ AGeV/c. L. Chkhaidze, T. Djobava, L. Kharkhelia, **Bull. of the Georgian National Acad. of Scie. vol. 4, no.2, p.41, 2010.****
 - 10) Momentum and Angular Characteristics of protons and π^- - mesons from HeTa and dTa Interactions at 4.2 AGeV/c. L. Akhobadze, V. Garsevanishvili, Yu. Tevzadze. **Bull. of the Georgian National Acad. of Scie. V.4 N2, p. 35, 2010;****

11)Анализ распределений множественности заряженных частиц в адрон-ядерных столкновениях в рамках модели Глаубера.

T. Jalagania, Yu. Tevzadze, M. Gochitashvili.

GESJ-Georgian Electronic Scientific Journal, 2010-08-04. ID:1751.

12) S.Dymov, V.Komarov, G.Macharashvili, ..., M.Nioradze et al.

Deuteron breakup $pd \rightarrow \{pp\}_n$ with forward emission of a fast 1S_0 diproton.

Physical Review C 81 (2010) 044001

გადაცემული შრომები

13)Studies of the performance of the ATLAS detector using cosmic-ray muons.

By The ATLAS Collaboration (G. Aad.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*) Nov 2010. 22pp.

e-Print: [arXiv:1011.6665](https://arxiv.org/abs/1011.6665) [physics.ins-det]

14) Measurement of the top quark-pair production cross section with ATLAS in pp collisions at $\sqrt{s}=7\text{TeV}$.

By ATLAS Collaboration (G Aad ..,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*) 2010. 31pp.

Submitted to Eur. Phys. J. C , e-Print: [arXiv:1012.1792v2](https://arxiv.org/abs/1012.1792v2) [hep-ex]

15) “STUDY OF ATLAS SENSITIVITY TO FLAVOR CHANGING NEUTRAL CURRENTS (FCNC) TOP QUARK RARE DECAYS”.

Leila Chikovani, Tamar Djobava, Maia Mosidze, Gvantsa Mchedlidze.

Book of Abstracts of 13th ISTC SAC Seminar "New Perspectives of High Energy Physics" 1-5September, 2010, Budker INP, Novosibirsk, Russia, p.36

Book of abstracts: <http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/book.pdf>

16) A Layer Correlation technique for pion energy calibration at the 2004 ATLAS Combined Beam Test.

E. Abat.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*

ATL-COM-CAL-2010-006, Dec 2010. 36pp., e-Print: [arXiv:1012.4305](https://arxiv.org/abs/1012.4305) [physics.ins-det]

17) Measurement of underlying event characteristics using charged particles in pp collisions at $\sqrt{s} = 900 \text{ GeV}$ and 7 TeV with the ATLAS detector.

E. Abat.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*

Dec 2010. 36pp. e-Print: [arXiv:1012.0791](https://arxiv.org/abs/1012.0791) [hep-ex]

18) Observation of a Centrality-Dependent Dijet Asymmetry in Lead-Lead Collisions at $\sqrt{s_{NN}}= 2.76 \text{ TeV}$ with the ATLAS Detector at the LHC.

E. Abat.,L.Chikovani,...T.Djobava...,A.Henriques,...,J.Khubua, G. Mchedlidze, I.Minashvili,..M.Mosidze,... *et al.*

Nov 2010. e-Print: [arXiv:1011.6182](https://arxiv.org/abs/1011.6182) [hep-ex]

19)Anzor A. Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “What is the boundary condition for radial wave function of the Schrödinger equation ?” იძებნება უკანალში American Journal of Physics.

20)ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ნადარეიშვილი. “შრედინგერის რადიალური განტოლების სასაზღვრო პირობების შესახებ”. გაგზავნილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უკანალ “მოამბები”.

21) G.G. Davidze, V. G. Kartvelishvili, A. G. Liparteliani „On Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model“, მიღებულია გამოსაქვეყნებლად ჯურნალში **GESJ**.

2010 წელს გამოსაქვეყნებლად მომზადებული შრომები:

1.“ATLAS Experiment Sensitivity to FCNC Top Quark Rare Decay $t \rightarrow Zq$ at $\sqrt{s} = 10$ TeV”.

Leila Chikovani, Tamar Djobava, Maia Mosidze, Gvantsa Mchedlidze is accepted for publication in the Bulletin of Georgian National Academy of Sciences “Moambe”.

2.” Study of Tile Calorimeter Sampling Fraction”.

T. Davidek, T.Djobava, A. Dotti, A.Henriques-Correia, E.Khramov, G. Mchedlidze, M.Mosidze, I.Vivareli

3. Study of collective flow effects of protons and π^- mesons in d(C, Ta) and He(C, Ta) collisions at a momentum of 4.2-GeV/c per nucleon; [L. Chkhaidze](#), [T. Djobava](#), [L. Kharkhelauri](#) ([Tbilisi State U.](#)), [E. Kladnitskaya](#), V. V. Uzhinskii ([Dubna, JINR](#));

გაიგზავნება ჟურნალში Phys. Atom. Nucl.

4. Description of Multiparticle Production of Charged Particles by Gluon-Dominance Model in Hadron-Hadron and Hadron-Nucleus Collisions.

ლ. აბესალაშვილი, ლ. ახობაძე , ი. თევზაძე

5. A.Khelashvili, T.Nadareishvili. “Delta function singularity in the Reduction of Radial Schrodinger Equation”. arXiv:1009.3612. იგზავნება ჟურნალში “Theoretical and Mathematical Physics”.

6. Anzor A.Khelashvili, Teimuraz P. Nadareishvili. “Status of the Radial Schrodinger Equation”. arXiv:1007.3513.იგზავნება ჟურნალში “Physical Review A.

7. Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model”, G.G.Devidze, V.G.Kartvelishvili, A.G.Liparteliani, U.-G. Meißner

მომზადებული სახელმძღვანელო:

1. გამოიცა წიგნი: ანზორ ხელაშვილი. “აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე.” საქართველოს ეროვნული აკადემიის გამომცემლობა.

2. მზად არის გამოსაცემად სახელმძღვანელო:

ა.ხელაშვილი. "ველის კვანტური თეორიის ტოპოლოგიური მოდელები". (მონოგრაფია და სახელმძღვანელო მაგისტრანტულისათვის).

კონფერენციები

1. “Np program at ANKE-COSY and first results from double-polarized experiment”
დ.ჭილაძე International Symposium SPIN 2010, Juelich Forschungs-zentrum, Germany
<https://www.congressa.de/SPIN2010/>

2. „Recent results of the analysing power measurement for the dp→ppn charge-excvhange reaction”.
დ.მჭედლიშვილი. International Symposium SPIN 2010, Juelich Forschungs-zentrum, Germany

<https://www.congressa.de/SPIN2010/>

3. “STUDY OF ATLAS SENSITIVITY TO FLAVOR CHANGING NEUTRAL CURRENTS (FCNC) TOP QUARK RARE DECAYS”.

ლ.ჩიქოვანი, თ. ჯობავა, მ.მოსიძე და გ. მჭედლიძე
წარდგენილ იქნა როგორც მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიის ცენტრის (ISTC) მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმზე “ მაღალი ენერგიების ფიზიკის ასაღი პერსპექტივები” პოსტერების სექციაში,
1-5 სექტემბერი, 2010 წ, ნოვოსიბირსკის ბუდეერის სახ. ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი, ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია.
http://www.istc.ru/istc/istc.nsf/va_WebPages/SAC13.2Eng
<http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/programme.doc>

4. G. Devidze, A. Liparteliani „On Neutral B-meson Double Photon Decay in the ACD model“, წარდგენილ იქნა როგორც მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიის ცენტრის (ISTC) მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმზე “ მაღალი ენერგიების ფიზიკის ასაღი პერსპექტივები” პოსტერების სექციაში,
1-5 სექტემბერი, 2010 წ, ნოვოსიბირსკის ბუდეერის სახ. ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი, ნოვოსიბირსკი, რუსეთის ფედერაცია.
13-th ISTC SAC Seminar “New Perspectives of High Energy Physics
<http://ssrc.inp.nsk.su/ISTC2010/book.pdf>. p.14

საგრანტო პროექტები

- 2010 წელს ინსტიტუტში სრულდებოდა 8 საგრანტო პროექტი:
- 6 ეროვნული სამეცნიერო ფონდის და
 - 2 საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრის (ISTC).
- პროექტების ჯამური ბიუჯეტია - 430,080 USD + 801,711 ლარი;
ზედნადები - 25,500 USD + 66,891 ლარი.

2010 წელს დაცული დისერტაციები:

თამარ ხაჩიძე

თემაზე: “ფარული დინამიკური სიმეტრიები რელატივისტურ კვანტურ მექანიკაში” (ხელმძღვანელი). დაცვა შედგება ქ. ქუთაისში, ა.წერეთლის სახ. უნივერსიტეტში.

2010 წელს დაცული სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები

სამაგისტრო ნაშრომი: თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის “ნაწილაკების ფიზიკის” მე-2 კურსის მაგისტრანტი გვანცა მჭედლიძე

“ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობის შესწავლა ტოპ პვარკის იშვიათი დაშლების მიმართ”.

საბაკალავრო ნაშრომი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფიზიკის მიმართულების IV კურსის სტუდენტი ზარა ბალდასარიანი.

საბაკალავრო ნაშრომის თემა: ხიდების სპონსორი დარღვევა.

ხელმძღვანელი: გელა დევიძე

პრემია

1. საქართველოს ეროვნული აკადემიის ილია ვეგუას სახელობის 2010 წლის პრემია მათემატიკა, მექანიკა და ფიზიკაში მიენიჭა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ანზორ ხელაშვილს მონოგრაფიისათვის:

T.Khachidze and A.Khelashvili

“Dynamical Symmetries in the Coulomb-Kepler Problem in Classical and Quantum Mechanics: Nonrelativistic and Relativistic”. NOVA PUBLISHERS, NEW YORK.

მონოგრაფია ინგლისურ ენაზე ნიუ იორქში.

2 2010 წ. საქართველოს ეროვნული პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში მიენიჭა ჯ.ხებუას (ი.მინაშვილი, ა.შარმაზანაშვილი და ე.ცხადაძესთან ერთად) ნაშრომთა ციკლისათვის “დიდ ადრონულ კოლაიდერზე დაგეგმილ ექსპერიმენტ –ში ადრონული კალორიმეტრისა და მიუონური სისტემის ცენტრალური ნაწილების და დანადგარის მაკონტროლირებელი სისტემის შექმნა”.